№ 40 — 1877—1900 — № 40

ოთხშაბათი, 23 თებერვალი, 1900 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების გამგეობა**

აცხადებს, რომ მარტის ოცსა ქვს, საღამოს შვიდ საათზედ, დანიშნულია ამა საზოგადოების წევრთა საყოველთაო კრება.

კრების გასარჩევად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

1) განხილვა და დამტკიცება საზოგადოების მოქმედების ანგარიშისა წარსულის 1899 წლის განმავლობაში და დამტკიცება მონაგების განაწილებისა.

2) დანიშვნა რიგისა და ზომის იმ გასამჯელოსათვის, რომელიც უნდა მიეცეს მმართველობაში თანამდებობის პირთა.

3) განხილვა და დამტკიცება ხარჯთაღრიცხვის 1900 წლისათვის.

4) მოხსენება გამგეობისა საზოგადოების ახალის შენობის შესახებ და მაზედ დანახარჯის აღრიცხვა.

და 5) არჩევა წესდების თანახმად გამომავალთა მაგიერის: ორის რჩევის დეპუტატის, გამგეობის დირექტორისა და აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრებისა და ამ უკანასკნელთა კანდიდატებისა და სხვა თანამდებობის პირთა, თუ რომ ეს საჭირო აღმოჩნდა.

როგორც წერილები, ისე ვექილობები უნდა მიუვიდეს საზოგადოების გამგეობას კრებამდის სამის დღით წინ მაინც.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**გ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბუგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუშანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

ქუჩა, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (კარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მ. ა. გედევანიშვილი

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) დ საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. მ. ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო**. $1^1/_2$—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შაპკოვსკი**. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი**. 7—$7^1/_2$ საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს დ გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## ახალი ამბავი

*** დღეს, 23 თებერვალს, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში, მოხდება სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება, რომელმაც უნდა განიხილოს კომისიისაგან შემუშავებული პროექტი აბრეშუმის თესლზედ სავალდებულო კონტროლის შემოღების შესახებ.

*** მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან შემდგარა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მიენდო სამინერალო წყლებისა და სააგარაკო ადგილების მართვა-გამგეობის საზოგადო წესის შემუშავება.

*** როგორც „ცნ. ფურ."-ს გაუგონია, პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი—მიუწვევიათ მოსკოვის უნივერსიტეტში ქართული სიტყვიერების ლექციების საკითხავად. ბ-ნი ხახანაშვილი ლექციების კითხვას დაიწყებს 1 სექტემბრიდგან.

*** „ტფილ. ფურც." დეპეშითატყობინებენ ახალ ქალაქის მაზრიდგან, რომ იქ შაბათს, 19 თებერვალს, დილის 12 საათზედ ხელახლა მომხდარა მიწის-ძვრა. როგორც იუწყებიან, სოფ. აზავრეთში 10 სახლი დანგრეულა. ბევრს მცხოვრებს ღამე გარეთ გაუთევია. ამ დაზარალებულთა მდგომარეობა მით უფრო უნუგეშოა, რომ მათთვის ახლო-მახლო სოფლებში აღარსად დასაბინავებელი ადგილი არ მოიპოვება, რადგანაც წინად დაზარალებულთაგან სულ დაჭერილია მეზობელს სოფლებში ყველა საცხოვრებელი სახლები.

*** შინაგან საქმეთა მინისტრმა წინადადება მისცა კავკასიის გუბერნატორებსა და ოლქის უფროსებს შეიმუშავონ პროექტი იმ წესდებისა, რომლითაც შეიძლებოდეს საგლეხო მიწების გრძელვადიანის იჯარით გაცემა მადნების შესამუშავებლად.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ქალაქის იმ მიწებში, რომელნიც ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას რკინის გზის ლიანდაგისათვის დასჭირდა, სასყიდელი მიეცეს ქალაქს.

*** ბაქოს გუბერნიაში წასრულ იანვრის თვეში ამოუღიათ სულ $42^1/_2$ მილიონი ფუთი ნავთი.

*** როგორც შევიტყეთ, იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის სწავლა-მართვის მხრივ რევიზიის მოხდენა, უკვე დაუსრულებია რევიზია; რევიზიის შესახებ მოხსენება სულ მოკლე ხანში წარედგინება განსახილველად „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობას.

*** დღეს, 23 თებერვალს, საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების სადგომში მოხდება კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელზედაც, სხვათა შორის, მოისმენენ მოხსენებას ბ-ნ ისტრემბეცკისას მოსკოვის ფარმაცევტთა მე-III კრებაზედ გამართულ საფარმაცევტო გამოფენის შესახებ.

*** 1 მარტისთვის დანიშნულია დ. ონში რაჭის მაზრის თავად-აზნაურთა საზოგადო კრება.

*** სათანადო მთავრობას განუზრახავს სამტრედიაში შემოკლებული საქალაქო დებულება შემოიღოს.

*** საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანი თელავისა და სიღნაღის მაზრებიდგან, სადაც იგი ყვავილის ასაცრელად იყო გაგზავნილი, ამ დღეებში ტფილისში დაბრუნდება.

... მღვდელი ჩვენთა მეფეთა წმ. გიორგის კარის ეკკლესიისა, მამა ალექსანდრე მოლოდინაშვილი, გაასვენეს ანჩისხატის ტაძარში, სადაც წირვა და ანდერძი გადიხადა ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ, ეპისკოპოსმა გორისამ დიდძალის სამღვდელოების თანადასწრებითა; წირვის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ და ანჩისხატის მღვდელმა მ. პოლ. კარბელაშვილმა; სიტყვაში დაისურათეს მამა ალექსანდრეს მშვიდი ხასიათი, მისი კეთილი მოძღვრობა; განსვენებული ძალიან პატივცემული იყო თავისის უანგარო ხასიათითა; მრევლს ხომ თავგანწირულებამდე უყვარდა და პატივსაც სცემდა, ასე გასინჯეთ, მოწაფეებად ჰყვანდა რუსებიც-კი, რომლებიც სასოებით ისმენდენ ქართულ წირვა-ლოცვას მამა ალექსანდრესთან, რომელმაც მშვენიერი ქართული კითხვა-გალობა იცოდა. ანჩისხატის ტაძრიდამ, ანდერძის შემდეგ, მამა ალექსანდრე გაასვენეს დასაკრძალავად პეტრე-პავლეს სასაფლაოზედ, ავლაბარში; დიდძალი ხალხი მისდევდა განსვენებულს. დაკრძალვის დროს სიტყვა წარმოსთქვა ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდის კანტორის მოხელემ ბ-ნმა ალექსი დავითიშვილმა.

*** მისს ყოვლად-უსამღვდელოესობას, ალავერდის ეპისკოპოსს კირიონს მოსვლია ფიქრად ერთი ფრიად სასარგებლო აზრი. ეს ის აზრია, რომ ასის წლის რუსეთთან საქართველოს შეერთების სახსოვრად დაარსებულ იქმნას უმაღლესის მთავრობის მიერ კათედრა საქართველოს ეკკლესიის ისტორიისა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში. მისის მეუფების აზრი დიდის თანაგრძნობით მიუღიათ სხვა ჩვენს ეპისკოპოსებს—ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრეს, ბესარიონსა და ლეონიდს და ითხოვეს ერთად წარუდგენიათ მოხსენება ამ საგნის შესახებ მის მაღალყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანესათვის უწმინდესის სინოდის წინაშე შუამდგომლობის დასაწყებად. ყოვლად-სამღვდელოთა კრებულს ამ მოხსენებაში დაუსახელებია ზემოხსენებულს კათედრაზე განსაწესებლად ორი კანდიდატი: ალ. ხახანაშვილი და ჟორდანია, კანდიდატი ღვთის მეტყველებისა, დღეს საეპარქიო ზედამხედველი სამრევლო სკოლებისა გურია-სამეგრელოს ეპარქიაში.

(«ცნ. ფურც.»)

*** **ს. ბერშუეთი**, (გორის მაზრა). 1897 წელს დაგვიარსდა პირველ-დაწყებითი სასწავლებელი. ხალხი ცოტად თუ ბევრად, ბეჯითად ეკიდება სწავლის საქმეს და ბავშვებიც კარგა ბლომად დადიან სკოლაში, „დედაენის" კითხვამ საკმაოდ შეაყვარა მოსწავლეებს წიგნი, მაგრამ საქმე ის არის, „დედა-ენის" გარდა სხვა წიგნი არ მოიპოვებათ. ამიტომ კარგი იქნება აქაურს სასწავლებელს დაუარსდებოდეს წიგნთ-საცავი.

*** სოფ. აგზალ ა. ამ სოფელში ეს რამდენიმე წელიწადია არსებობს საეკკლესიო სამრევლო სასწავლებელი. თუ რამდენად ამ სოფელში დაქვეითებულია სწავლა-განათლების გავრცელების საქმე, ეს იქიდგანაც სჩანს, რომ ამ სოფლის ერთად-ერთ სკოლაში მხოლოდ ორმოცამდის ბავშვი სწავლობს, რომელთა შორის ერთი ვაჟია და დანარჩენი ქალები. ასეთი მოვლენა მით უფრო სამწუხაროა, რომ ეს სოფელი ტფილისიდგან რამდენისამე ვერსტის სიშორეზეა და, მაშასადამე, მცხოვრებლებთაც სხვა სოფლებზე შედარებით უფრო მეტი უნდა ესმოდეთ და გაეგებოდეთ. ამ ბოლოს დროს, როგორც შევიტყეთ, ზოგნი ხელს უწყობენ ხალხში წერა-კითხვის გავრცელების საქმეს. წარსულს კვირაში, მაგალითად, ქ-ნთ ვ. ბასტამოვისა და ნ. ლეჟავას თაოსნობით კიდეც შეკრებილან ავჭალის მცირე-წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელ ახალშენის მასწავლებელნი და დაუდგენიათ საღამოობით მოიწვიონ ხოლმე როგორც პატარები, აგრეთვე მსურველნი დიდებიც და ასწავლონ მათ უსასყიდლოდ წერა-კითხვა და უკითხონ კარგი შინაარსიანი წიგნები. ამ საღამოებში კიდეც ჩაწერილა 50-დე კაცი. ვისურვებთ, რომ ამ კეთილ საქმეს სასურველი ნაყოფი გამოელოს.

*** **ხაშური**. 18 თებერვალს ხაშურის რკინის გზის სასწავლებელში დანიშნული იყო 1899 წ. წლიური აქტი. აქტის გამართვას და გაწესრიგებას ჰმეთაურობდა სასწავლებლის გამგე ბ-ნი პრიხნია, რომელმაც წაიკითხა მოკლე ანგარიში წასულის წლისა. შემდეგ დაურიგეს კარგ მოსწავლეებს საჩუქრები და ღარიბებს ტანისამოსი. ეს სასწავლებელი ორკლასიანია და შეძლებულიც არის ნივთიერედ. მარტო წიგნთსაცავისათვის ეძლევა 500 მან. სასწავლებელში სწავლობს 301 მოსწავლე, რომელთაგან 184 ქართველია, 87 რუსი, 7 სომეხი, 2 ებრაელი და 19 სხვა ეროვნებისა. აქტზედ ძალიან დიდი საზოგადოება შეიკრიბა, ასე რომ უზარმაზარი დარბაზი მთლად გაჭედილი იყო. ძალიან მოეწონა ყველას პატარა მოსწავლეების კითხვა: ეს მოსწავლეები ისე მშვენივრად და შეგნებით კითხულობდნენ, რომ მთლად ხიბლავდნენ საზოგადოებას. ამას მოსდევდა მუსიკა; ყველა ნომრები ერთი მეორეზედ უკეთესად შეასრულეს, რასაც არ მოველოდით. მუსიკაში იღებდა მონაწილეობას მოწაფე ჯუბაძე, რომელიც დიდი ნიჭის პატრონია, მაგრამ ამასთანავე ძალიან ღარიბი, ასე რომ, როგორც გავიგეთ, მშობლები ვერც-კი ჰგზავნიან მას სწავლის განსაგრძობად.

*** **დ. ცხინვალი**. 10 თებერვალს გარდაიცვალა ცხინვალის ქალთა ორკლასიანი სასწავლებლის ერთი საუკეთე-

სა მოსწავლეთაგანი, სომეხთა მოძღვრის ქალი 14 წლის სათინიკა ტერ-აბრამოვი. მიცვალებულის გვამი გამოასვენეს 13 თებერვალს და თუმცა ამ დღეს თოვლ-ჭყაპიც წამოვიდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კუბოს აუარებელი ხალხი მის-დევდა მიცვალებულს პატივი სცეს და სასაფლაომდე მიაცილეს ცხინვალის ნორმალურ სასწავლებლის მასწავლე-ბლებმა ი. ლ. ხიმშიაშვილმა და მ. ა. ხიმშიაშვილისამ თავიანთის მოსწავლე-ებით.

მოძღვარმა ტერ-სააკ ხახანიანცმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა საყდრიდან მიცვალებულის გასვენების დროს. მაგ-რამ საყურადღებო იყო განსვენებულის ამხანაგ ქალის 13 წლის ელენე ტერ-სტეფანოვის მიერ ქართულად წარმო-თქმული ლექსი, რომელმაც საერთო ქვითინი გამოიწვია დამსწრე საზოგა-დოებაში, წლოვანების და ეროვნების განურჩევლად.

## ნარკვევი

მკითხველებს ეხსომებათ, რა უმარ-თებულება ჩაიდინეს ზოგიერთმა „კვა-ლი"-ს გზა-კვალ დაბნეულმა თანა-მშრომლებმა და ვიღაცა ვიგინდა-რამ განსვენებულ გიორგი წერეთ-ლის დასაფლავების დროს, გაჰმარ-თეს რა უალაგო და ყოვლად შეუ-ფერებელ-შეუწყნარებელი პოლემიკა. ჩვენ მაშინ გაკვრით აღვნიშნეთ ეს ამბავი, რადგან განსვენებულის ახლად დაკრძალულ სამარის წინაშე მოუ-ხერხებლად მიგვაჩნდა ამ უმართებუ-ლობის შესახებ სჯა-ბაასი. აი, ეხლა რასა სწერს „მოამბე"-ს შინაური მი-მომხილველი ბ-ნი ლალი ამ ჟურნა-ლის იანვრის №-ში.

გ. წერეთლის გარდაცვალებას ამ-ბავმა მწუხარება გამოიწვია მთელს ჩვენს ქვეყანაში. მის სახლობის და «კვალის» რედაქციას დიდ-ძალი სამ-ძიმრის დეპეშები მოუვიდა და დაკ-რძალვაზე დასასწრებლად დიდ-ძალი ხალხი შეგროვდა. ამ საერთო გლო-ვაში მონაწილეობას იღებდნენ ისი-ნიც, რომელნიც არ თანაუგრძნობდნენ განსვენებულის მიმართულებას უკა-ნასკნელ ხანებში. ეს მათი გლოვა ადვილად გასაგებია ყველასათვის: არ არის ქართველი შეგნებული კაცი, რომ არ აფასებდეს გ. წერეთლის დიდს ღვაწლს, მიუხედავად მიმართულებისა, მიუხედავად ამა თუ იმ შეხედულებისა ზოგიერთ ჩვენ საზოგადო საქმეზე. რა-ღა საკვირველია, რომ ამ შეგნებულმა ქართველმა მოინდომა უკანასკნელი პა-ტივი ეცა სამშობლოს მოჭირნახულე-სთვის?! მაგრამ ამ ფაქტს სრულიად სხვა რიგათ შეხედეს გაზ. «კვალის» თანამშრომლებმა და მკითხველებმა. დაკრძალვის დღესვე, დილით, «კვალ-ში» შემდეგი საკვირველი სიტყვები ამოიკითხეს ყველა მათ, ვინც გან-სვენებულის სახლისაკენ მიეშურე-ბოდა, რათა უკანასკნელად პატივი ეცა პატივსაცემ გარდაცვალებულისა-თვის:

....აი ვინ იყავი შენ, ძვირფასო გი-ორგი! მაგრამ რადგანაც ამ ჩვენ გათახ-სირებულ ცროში არც ერთ ამ თვისე-ბას ფასი აღარ აქვს, ამიტომ აღარც შენ დაგდვეს ფასი, აღარც შენ მოგცეს მოს-ვენება არც კარგათ ყოფნობაში და არც ავათ ყოფნობაში. და აი, როცა შენ სამუდამოთ მოისვენე, სამუდამოთ და-დუმდი, მოისვენეს და დადუმდენ ისინიც და ახლა შენი ცხედრის წინაშე ყველა ერთათ თავშეყრილი სინანულს ეძლევიან. ამოიხედე ერთი ზევით და ამათ შენებრ ნელი ხმით უთხარი: „მომიტევებია"!..

ვინ რა სინანულს ეძლეოდა გან-სვენებულის ცხედრის წინაშე—ეს, ალბათ, ზ. ჟორდანიას საიდუმლოებას შეადგენს... ვინც გ. წერეთელს ებ-რძოდა საზოგადო საქმეების გამო და არა კერძო, პირადი რამ ანგარი-შების (უკანასკნელნი სახეში არ ჰყავდა, ალბად, ზ. ჟორდანიას და არც არიან სათვალავში მისაღები), ის, რასაკვირველია, ვერავითარს სი-ნანულს ვერ იგრძნობდა. იმ წამს გ. წერეთელი რომ ამდგარიყო სათვ-ლავიდან, ბრძოლა საზოგადო საქმე-ების გამო მაშინვე დაიწყებოდა, მი-სი მოპირდაპირენი მის სათვალავის წინაშე წარსდგნენ, რათა თაყვანი ეცათ ქვეყნისთვის მებრძოლ და ერთ-გულ მოღვაწისათვის და არა პატი-ვების სათხოვნელად...

მეტად უხერხული სიტყვა ზ. ჟორ-დანიასი თურმე ნამდვილი mot d'ordre-ი იყო, რომელიც ხელადმა თა-ვის ჯვარის-კაცთ მისცა. უკანასკნე-ლებმაც სავსებით აღასრულეს დღი-ური პროგრამმა და სასაფლაოზე შემაძრწუნებელი განგაში შექნა. ერთმა გამოაცხადა—მე მებრალებიან გ. წერეთლის წინააღმდეგნიო, მეო-რემ დაჰგმო ისინი, მესამემ მრავალი კრულვა და წყევლა წარმოსთქვა და ასე crescendo მიდიოდა საქმე, სა-ნამ ერთმა ზიზღიც არ წარმოსთქვა... ამგვარს უზნეობას, უტაქტობას და უსირცხვილობას ძნელად წარმოიდ-გენს კაცი!..

ჩვენში, სამწუხაროდ, მოწინაღ-მდეგენი, პოლემიკის დროს, ხშირად გადასცილდებიან ხოლმე საზღვარს და ჟურნალ-გაზეთებში უმართებულო კილოთი შეიქნება ბრძოლა. ამგვარი ნაკლულევანება თან ახლავს ბევრს ჩვენს მოღვაწეს და არ იყო მისგან თავისუფალი თვით განსვენებულიც. ამიტომ, თუ ეს დანაშაულობაა, იგი საზოგადო—საერთო დანაშაულობაა და რატომ ერთ მხარეს უნდა დააწ-ყდეს თავს ამდენი წყევლა-კრულვა?! მაგრამ, ვთქვათ, გ. წერეთლის მო-პირდაპირენი გასაკიცხნი იყვნენ იმი-ტომ, რომ ყოველისფერში არ თა-ნაუგრძნობდნენ მას. განა ამ გაკიც-ხვისთვის სხვა დრო და ადგილი არ მოიძებნებოდა? როგორ ვერ მოის-ზრეს «გმირ-ვაჟბატონებმა», რომ ისინი სამარცხვინო საქმეს სჩადიო-დნენ, რომ მტრებთან ანგარიშების გასწორებისთვის სხვა ადგილია სა-ჭირო, რომ, სხვა არა იყოს-რა, უზრდელობაა იქვე, გაუციებელ ცხე-დრის წინაშე, გალანძღვა იმათი, ვინც წრფელის გულით მოსულა, რათა მუხლი მოიდრიკოს დაუღალავ მოჭირნახულის წინაშე?!. შესაძლე-ბელი იყო ამ მოპირდაპირეთაგანაც გამოჩენილიყო ვინმე ისეთივე უტაქ-ტო, როგორიც ზ. ჟორდანიას ერთი ქვეშევრდომთაგანია და დაეწყო კრულ-ვა-წყევლა. ეს ხომ იქვე მდებარე გვამის დამამცირებელი ამბავი იქნე-ბოდა და, როგორ ჰგონია ზ. ჟორ-დანიას—ვინ იქნებოდა ამ დამცირე-ბის მიზეზი?

დიაღ! დიდი უსაქციელობა ჩაიდი-ნეს ზოგიერთმა ვაჟბატონებმა საერ-თო გლოვიარების დღეს...

ბ-ნს ლალს უკვირს „კვალელთა" „უსაქციელობა", „უზნეობა", „უტაქტობა", „უსირცხვილობა", როგორც იგი ამბობს, მაგრამ იმათგან ხომ ეს არ ახალია-ძველია. ბ-ნს ლალს ეს „უსაქციელობა" ნირის შემლად მიაჩნია, მაგრამ ვარ-წმუნებთ, რომ „ადრევ მოფიქრე-ბულის განზრახვით" ჩაიდინეს ყო-ველივე რადგან ეს ვაჟბატონები დარწმუნებულნი არიან, ამღვრევა, არეულობა პროგრესსის მომასწავე-ბელიაო. ეს „უსაქციელობა" რომ არ ჩაედინათ, მაშინ ხომ გ. წერე-თლის გვამის დაკრძალვა მშვიდობია-ნად, აუმღვრევლად ჩაივლიდა და ეს ხომ ნიშანი იქმნებოდა რეგრესისა, ხოლო მათ „აამღვრიეს", ვინაიდგან „ჩვენი ცხოვრების ამღვრევა საუკე-თესო თავდებია, რომ ჩვენი ხალხი წინ მიდის" (!!!) (იხ. „კვალი" 1900 წ. № 7, წერილი ივ. გომარ-თელისა). აი, ამ დედა აზრით ხელ-მძღვანელობენ ნოე ჟორდანია თა-ვისის სიმ-ქამ იაფეთითურთ და, ამ დედა აზრისავე თანახმად, „უსაქციე-ლობა"—საქციელიანობად მიაჩნიათ, „უზნეობა"—ზნეობიანობად, „უტაქ-ტობა"—ტაქტიანობად, „უსირცხვი-ლობა"—კდემა-მოსილებად...

სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს, ასეთი ჰკუა-გონების არევა და გზა-კვალის დაბნევა.

## ქალაქის საბჭო

21 თებერვალი.

გამგეობის წინადადების თანახმად, საბჭომ შეამცირა ძროხის ხორცზე ნიხრი და 11 კაპეიკის ნაცვლად გირვანქაზე 10 კაპ. დააწესა. კრე-ბამ მოისმინა ანნა სარქისოვის თხოვ-ნა იმის შესახებ, რომ ქალაქმა ად-გილი მომიცვალოსო. სარქისოვისას 9 საჟენი მიწა ჰქონია და იმის სამა-გიეროდ 8 საჟენ მიწას სთხოვდა ქა-ლაქს მთაწმინდის მეიდნის მახლობ-ლად. გამგეობას ქალაქის მიწის მზო-მელისათვის დაუვალებია გაეზომა ორივე ადგილი, მათი ფასები გაეგო და საზოგადოდ ცნობები შეეკრიბნა ამ ადგილების შესახებ. მიწის მზო-მელს გაუგია, რომ ანნა სარქისოვის ხელში რომელი მიწაც არის დღეს, ის ქალაქის კუთვნილება ყოფილა, მაგრამ მას უფლება დაუკარგავს თა-ვისს საკუთრებაზე, რადგან ამ ად-გილს 40 წლის განმავლობაში სარ-ქისოვი ფლობდა. ამის გამო გამგეობას დაუდგენია, რომ, რადგან ქალაქს უფლება დაუკარგავს ხსენე-ბულს ადგილზე და ის სარქისოვის კუთვნილებას შეადგენს დღეს და რადგან ორივე ადგილი თითქმის ერთ ფასადა ჰღირს, შეწყნარებულ იქმნას ანნა სარქისოვის თხოვნაო. საბჭომ დაამტკიცა გამგეობის წინა-დადება. შემდეგ წაკითხულ იქმნა ივანე აგანჯანოვის თხოვნა, რომე-ლიც გამგეობას უჩიოდა, რომ შე-ნობის აგების ნება არ მომცაო. რო-გორც გამგეობამ განმარტა, ოგანჯა-ნოვისათვის არ დაუმტკიცებია შე-ნობის გეგმა იმიტომ, რომ მისასვლე-ლი გზა არა ჰქონია, რადგან მისი ადგილის წინ ქალაქის ადგილი ყო-ფილა, და წინადადება მიუცია, რომ თუ ამ ადგილს აიღებ იჯარით, მა-შინ შეიძლება გეგმა დაგიმტკიცო-თო. ოგანჯანოვი არ დათანხმებულა ამაზედ და თავისს თხოვნაში ამტკი-ცებდა, რომ ქალაქისა კი არა, ჩემი არის ის ადგილი, რადგან ნასყიდო-ბითი ქაღალდში ქალაქისად არ არის მოხსენებულიო. საბჭომ კომისიას მიანდო ამ საქმის გამორკვევა.

კრების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ქალაქის მოურავის მოადგილე უნდა იქმნას არჩეულიო და სთხოვა კრებას კანდიდატები დაესახელები-ნათ. დასახელებულ იქმნენ გამგეო-ბის წევრები: თავ. ა. მ. არღუთინ-სკი 21 ხმით, მ. ს. შესტაკოვი 19 ხმით და ბ-ნი ხოსროევი 1 ხმით. უკანასკნელმა ორმა უარი განაცხადა ყუთის დადგმაზე და კენჭი იყარა თ. არღუთინსკიმ, რომელსაც ამოუ-ვიდა 27 თეთრი კენჭი და 20 შავი.

შემდეგ კრებამ აირჩია სამოსწავ-ლო კომისიის წევრებად ხმოსნები: მ. ზ. ავთანდილოვი, ი. მ. ალიხა-ნოვი, გ. ა. ქოჩორიანცი, ს. დ. ლი-სიციანი, ი. ა. მელიქ-ბეგლიაროვი, ა. ს. ბაბოვი, მ. ნ. ვესელოვზორო-ვი, ნ. ნ. ოსტროგორსკი და ნ. ი. კარაპეტოვი. ამავე კომისიას დაავა-ლა საბჭომ თვალ-ყური ეჭიროს ქა-ლაქის სახელოსნო სასწავლებელზე.

ქალაქის ლომბარდის სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: თავ. ნ. ი. არღუთინსკი, ს. დ. ლი-სიციანი, გ. ა. ქოჩორიანცი და ლ. თ. ტიგრანოვი.

დასასრულ უნდა წაეკითხათ ქ-ნ მარკოზოვისა და სხვების საჩივარი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ჩვენი მამულები სისწორით არ არის დაფა-სებულიო, მაგრამ ამ საგნის განხილ-ვა საბჭომ მიანდო განსაკუთრებულს კომისიას, რომლის წევრებად არჩეულ იქმნენ, ქალაქის მოურავის წინადა-დებით, იურისტი-ხმოსნები: ი. ს. ალი-ხანოვი, ი. ა. შერშენკო, ი. ა.სულ-ხანოვი, ს. გ. მელიქ-ნუბაროვი და ა. გ. ირიცფუხოვი.

## წერილი საჩხერიდგან.

(15 თებერვალი)

აქეთკენ მშვენიერი ამინდებია. იანვრის აქეთ თოვლი თვალით არ გვინახავს, მხოლოდ ხანდახან ზუნა-ქარი ჰქრის და ყინვებია. თუ ასე გასტანა, ამ თებერ-ვალში ხეხილი სულ აყვავ-ამწვანდება. დღე არ გავა ისე, რომ საჩხერიდგან ხუთი-ექვსი კუბო არ წაიღონ. იხოცე-ბა ხალხი და შველა-კი არსაიდგან არის. დ. საჩხერეში საავადმყოფოცაა, მკურნალიცა და ორი ფერშალიც, მაგ-რამ სოფლელებისათვის არც ერთი არ არსებობს. ერთობ გაძვირებულია ამ ზამთარში ნავთი და შეშა. გირ-ვანქა ნავთს 5 კაპ. რომ ვყიდულობდით, ეხლა 6—7 კ. გვახდევინებენ. შეშა დიდი ურმით 2—3 მანეთია, აჩაჩა ურ-მით შვიდი-რვა აბაზი, რაც წინად იშვიათი იყო. სიმინდისა, პურისა და ღვინის სიძვირეს ნუღარა ჰკითხავთ. საქართველოს სხვა და სხვა კუთხეები-დგან პური, ღვინო და სიმინდი ნაკ-ლებად შემოდის გზების უქონლობისა გამო; აქ კი შარშან ყველაფრის მოსა-ვალი ნაკლებად იყო და ამიტომაც არის ეს სიძვირე. ქვემო-იმერეთში და გურია-სამეგრელოში ფუთი სიმინდი 30—35 კაპ. რომ იყიდება, აქ 90 კ. —1 მან. ჰფასობს. ჭირნახულის ასეთს სიძვირეს არავინ მოსწრებია აქ.

წარსულს წლის 19 ქრისტეშობის-თვეს საჩხერეშიაც იყო მიწის ძვრა, რომელმაც გასტანა 2 წუთს; ზარალი არა მოუხდენია რა.

5 თებერვალს საჩხერის სამინისტრო სკოლის მასწავლებელი ბ-ნი ე. ჩხეიძე, გაკვეთილების შემდეგ, შეუდგა სკოლის ბაღში ბოსტნის კეთებას. უცებ შემო-ვიდა მასთან საჩხერის პოლიციის ბო-ქაული პოდგორნი, აუკრძალა მუშა-ობა, თან წაართვა მოჭრილი ხეები, ბოსტნისათვისვე დამზადებული, და შეუდგინა ოქმი ხეების მოჭრის თაო-ბაზედ.

მასწავლებელსა და ბოქაულს შორის საჩივარია გამართული.

10 თებერვალს, მასწავლებლის ოთახ-თახში (სკოლაშივე) შეპარულიყო ერთი ბოროტი კაცი (მასწავლებელი შინ არ იყო) და მისს საწერ მაგიდიდგან აელო მოს-წავლეთა სამუშაო რვეულები და წაეღო, სხვა ნივთები აქეთ-იქით გადაეყარ-გად-მოეყარა, გამოევლო ბაღში, აეხადნა ერთის სკისათვის (ბაღში საფუტ-კრეცაა) თავი, ამოელო იქიდგან თაფ-ლით სავსე ჩარჩოები, მიწაზედ დაენარ-ცხებინა და ლუკმა-ლუკმად ექცია. მასწავ-ლებელმა ბოქაულს შეატყობინა ეს ამ-ბავი, მაგრამ ჯერ დამნაშავე ვერ იპოვ-ნეს.

აქაურს ორ-კლასიანს სკოლას ერთი მადლიანი და გულშემტკივარი კაცი გა-მოუჩნდა, რომელმაც შესწირა ორასი საჟენი მიწა სახაღეთ იქვე სკოლის ეზოსთან; წინად კიდევ შესწირა 130 საჟენი მიწა. ეს კაცი არის აზ. ბ. ილარიონ გამყრელიძე. მას ჰსურს აგ-რეთვე საკუთარი ეკკლესია აუგოს სკო-ლას.

ს. საყულიელი

## დაბა-სოფელი

სოფ. ხულა, (ზედა აჭარა). წარ-სული წლის ივლისის თვეში ზედა აჭა-რამ დიდის გულ-დაწყვეტით გაისტუმრა 12 წლის ამა ნაწილის უფროსად ნა-მყოფი ბ-ნი გ. ა. ბერიძე. ხულაში დიდ-ძალი ხალხი მოგროვდა და უკანასკნე-ლად ერთხელ კიდევ მოისმინა მამაკაცი უფროსის მამაშვილური დარიგება. ხალხში გაისმა საზოგადო ქვითინი. ნიშნად სიყვარულისა და მარად მოსა-გონებლად რამდენიმე საჩუქარი მიარ-თვეს ბ-ნს ბერიძეს. სადილს შემდეგ, რომელიც აჭარლებმა გაუმართეს, ხალხმა აჭარის საზღვრამდის გააცილა დაუვიწ-ყარი გიორგი. მაგრამ აჭარლებს ბედმა არ უმტყუნა. ახლად დანიშნული ნაწი-ლის უფროსად ბ-ნი რიხტერი ნაკლები მფარველი არ გამოდგა ხალხისა. ბ-ნმა რიხტერმა, მოსვლის თანავე, უპირვე-ლესი ყურადღება! ოთხს ძლიერს სა-განს მიაქცია: ა) ადგმა მევახშეე-ბი, რომლებიც დაბეჩავებულ ხალხს აწიოკებდნენ, ბ) შეეცადა (და იმედია, მოკლე დროში კიდეც დამთავრდება) ნორმალური სასოფლო ბანკის დაარსე-ბას, გ) აუხსნა მცხოვრებთ დიდი მნი-შვნელობა სწავლა-განათლებისა და დ) შეეცადა მართლმადიდებელთათვის ეკლე-სიის აშენებას ხულაში.

აქ რამდენიმე მოსახლე მართლ-მა-დიდებელია. ამას დავუმატოთ რამდენიმე ოჯახი აქ მოსამსახურეთა და შესდგება 150 მდის სული ორივე სქესისა. ეს ამოდენა რიცხვი მართლ-მადიდებელთა მოკლებულია წმიდა საიდუმლოს და წირვა-ლოცვას. რამდენიმე შემთხვევა უოფილა, რომ უმღვდელოდ და ქრი-სტიანულის წესების შეუსრულებლად ახალ დაბადებულნი მომკვდარიყვნენ და მიცვალებულთათვის მიებარებინოთ. თუ უბედუ-რი შემთხვევის დროს აჭარლებმა მღვდე-ლი ქობულეთიდან, ან ბათუმიდან, ან ახალცი-ხიდან უნდა მოიყვანონ, ე. ი. 82 ვერ-სტის სიშორიდგან. ამიტომ ბ-ნი რიხ-ტერი ეკკლესიის აშენების საქმეს გულ-მოდგინედ შეუდგა: ამ საქმისათვის უოველ-გვარი საჭირო მიწერ-მოწერა დაიწყო, რომელიც, რასაკვირველია, სასურველად დამთავრდება.

იმედია სურვილი ბ-ნ უფროსისა მოკლე ხანში განხორციელდება და ამ ძველს საქრისტიანო ქვეყანაში ერთ ადგილს

მაინც გაისმის ზარების რეკვა და გათიღ გონიერის მოძღვრის მკაფიო ენით წარმოთქმული გრძნობიერი დარიგება.

ყურთ-ოღლი

## ქართული საღამო კიევში

8 თებერვალს აქაურმა ქართველმა სტუდენტებმა მეორედ გამართეს ქართული საღამო. პირველი დეკემბერში გაიმართა და კარგადაც ჩაიარა. სავაჭრო საკრებულოს დარბაზი, სადაც 8 თებერვალს საღამო გაიმართა, მშვენივრად იყო მორთული. თვით კონცერტი ორის განყოფილებისაგან შესდგებოდა. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნი პასხალოვისა, ვენგეროვისა, ნევადოვსკისა, ზოტოვისა, ბ-ნნი ბოჩაროვი, სტეფანოვი, ბაგროვი, ბალაბანი, შუტმანი და სტუდენტებისაგან შემდგარი ქართული ხორო. სხვათა შორის, ქ-ნმა ზოტოვისამ შეასრულა ქართული რომანსი „ნანა შვილო“, ბოჩაროვმა — „ნუ შემიბრალებ“ და „შენ გეტრფი მარად“, ქ-ნმა პასხალოვისამ წაიკითხა რუსულად თავ. აკ. წერეთლის ლექსი „ავადმყოფი“, ბაგროვმა — ბარათაშვილის ლექსი „მერანი“, ბალაბანმა — ბარათაშვილისავე ლექსი „სულო ბოროტო“. ხორომ შეასრულა ქართული საერო სიმღერები: „ნეტავი გოგო“, „დილა“, „მგზავრული“, „სამშობლო ხევსურისა“, „იავ-ნანა“, „ჩემო ვარდო“, „კუჩხა ბედნიერი“ და სხვანი. ამას გარდა ორკესტრმა, ბ-ნ მ. ბალანჩივაძის დირიჟორობით, შეასრულა ბალანჩივაძისავე ოპერიდგან ინტროდუქცია და რამდენიმე სიმღერა. ხორო ბ-ნმა ბალანჩივაძემ მოაწყო. მომღერალნი ამ საღამოს ქულაჯებსა და გურულს საერო ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნი. კონცერტის შემდეგ ლეკური, ქისტური და ევროპიული ცეკვა გაიმართა.

საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო, მაგრამ უფრო მეტი დაესწრებოდა, განსაკუთრებულ გარემოებათ რომ ხელი არ შეეშალათ: 6 თებერვალს აქ ეგრედ წოდებული «Голубой балъ»-ი გაიმართა, რომელსაც დიდძალი ხალხი მიაწყდა, 8 თებერვალს ერთის ცნობილის არტისტის ბენეფისი იყო, 10 თებერვალსაც გამოჩენილის მომღერალ ქალის ბორანატის კონცერტი და ყველა ამან ჩვენ საღამოს ხალხი მოაკლო. მაინც შემოსავალი 2,000 მანეთამდე იქნებოდა. 8 თებერვალს ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ქართული საღამოები აქ ძალიან მოსწონთ. საზოგადოება მეტად ნასიამოვნი და კმაყოფილი დაიშალა.

საღამოს გამართვა, ქართველ სტუდენტების თხოვნით, პროვინციაში ცნობილმა არტისტმა ქალმა პასხალოვისამ იკისრა. დიდის მადლობის ღირსია ეს პატივცემული მანდილოსანი იმ შრომისათვის, რომელიც მან 8 თებერვალს გასწია. ქ-ნი პასხალოვისა სოლოვცოვის დასში მსახურებს. როგორც შევიტყეთ, ეს დასი სააღდგომოდ ტფილისში აპირებს ჩამოსვლას და წარმოდგენების გამართვას.

აქაური

## რუსეთი

გერბის ახალი წესდება შემოღებულ იქმნება ამა წლის 1 ივნისიდგან.

— პავლენკოვის ფირმას განუზრახავს გერცენის თხზულებათა გამოცემა.

— უკვე შედგენილს პროექტში, რომლითაც ვაჭრობისა და მანუფაქტურის დეპარტამენტი მთავარ-სამმართველოდ უნდა გარდაქმნილიყო, ზოგი ერთი ცვლილება კიდევ შეუტანიათ. ამ ახალის ცვლილებანით მთავარ-სამმართველოს დაწესების ნაცვლად განზრახულია აწ არსებული დეპარტამენტი ვაჭრობისა და მანუფაქტურისა ოთხ განყოფილებად განაწილდეს: ვაჭრობისა, მრეწველობისა, სამოსწავლო და ზღვათა. ყოველს განყოფილებას ცალკე მმართველი დაენიშნება, ხოლო ოთხისავე განყოფილების გამგედ კი დაწესებულ იქმნება თანამდებობა ფინანსთა მინისტრის მესამე ამხანაგისა. ამ ახლო ხანში განიხილავს სახელმწიფო საბჭო ამ ახალს პროექტს.

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** როგორც მოსალოდნელი იყო, კრონიეს დამარცხების შემდეგ ბურები იძულებულ გახდნენ ლედის-მიტის თავისუფლად შემოეხსნათ, და ამ ქალაქში ინგლისელები დაუბრკოლებლად შევიდნენ. დაწვრილებით ცნობები არ მოსულა ჯერ, ნატალი სულ დასცალეს ბურების ჯარებმა, თუ არა, მაგრამ ეჭვს გარეშეა, კიდეც რომ არ დაეცალათ ჯერ, ეს მიუცილებელი იქმნება დღეს თუ არა, ხვალ მაინც. ამ ნაირად პირველი მოქმედება დრამისა იმით დასრულდა, რომ ინგლისმა თავისი სამფლობელო განთავისუფლა მალა უნებურად შემოსეულ მტრისაგან და ომის გეგმა დღეის იქით სულ სხვა კითარებაში ჩიდგება. რაღა თქმა უნდა, ჯერ კიდევ შორს არის ის სანატრელი დღე ინგლისელებისა, როცა სამხრეთ აფრიკაში თავისუფლებას დაჰკარგავს ორი პატარა რესპუბლიკა. პირიქით, ეხლა უფრო თავგამეტებით შეებრძოლებიან ბურები მტერს თავიანთ სამშობლოს დასაცველად და მომავალში უფრო მომეტებულ სისხლის ღვრას უნდა მოველოდეთ ორ მოწინააღმდეგეს შორის. ბურები თუ ასე მედგრად იბრძოდნენ თითონ ინგლისის მიწა-წყალზედ და უკანასკნელი მალ-ღონე მოაკრეფინეს ზუმბრაზ მოწინააღმდეგეს, თავიანთ ადგილ-მამულში რომ მომეტებულს მამულიშვილობას გამოიჩენენ და უფრო შეუპოვრად მიეგებებიან მტერს, ეს ეჭვს გარეშეა. ამას კარგად ჰგრძნობენ თვით ინგლისშიაც და ამიტომ ზოგნი რომ ურჩევენ მთავრობას, — პირველი გამარჯვება ნუ წაგათამამებს და ჯარების რიცხვი გაამრავლეო, ზოგნი იმ აზრისანი არიან, რომ დროა მოვურიგდეთ მტერსაო. მაგრამ ინგლისის მთავრობას იმ თავითვე გარდაწყვეტილი ჰქონდა ორანჟე და ტრანსვაალი თავისის სამფლობელოსათვის შემოეერთებინა და, ცხადია, თუკი რამე მოულოდნელმა გარემოებამ ხელი არ შეუშალა, თავისას არ დაიშლის, ხოლო ბურები, ვიდრე მალა თავისას არ გაიტანს, თავიანთ თავისუფლებას არავის დაუთმობენ, და ამნაირად ომის გათავებას ადრე არავინ უნდა მოელოდეს, სხვა სახელმწიფოები თუ არ წაექომაგნენ ბურებს და ინგლისი იძულებულ არ ჰყვეს უკან დაიწიოს.

— გენერალი კრონიე, რომელმაც ისეთი სიმამაცე და ნიჭი გამოიჩინა, რომ 3—4 ათასის კაცით 40—50 ათასს ინგლისელების ჯარს გაუმკლავდა, უვლდას კინაზე აკვრია და ქება-დიდებას უძღვნიან. მტერიც-კი დიდად გაკვირვება ამ საოცარმა კაცმა და მთელი ინგლისი იმისს ქებაშია. აი, მაგალითად, რას ამბობს გაზეთი „Standard“-ი იმის შესახებ: „რაღა თქმა უნდა, გენერალი კრონიე ჩვენი მტერია, მაგრამ ის ისეთი მტერია, რომელთანაც სირცხვილი არ არის ბრძოლა. იმან გამოიჩინა არა მარტო გაქცეობა და ენერგია, არამედ საუცხოო ნიჭიც. ტყუილად როდი ეძახიან მას „პირველ მებრძოლ გენერალს“, და ეს სახელი ჭეშმარიტად დაუმსახურებია“.

„Central News“-ის კორესპონდენტს წიგნი გამოუცია, რომელშიაც ნათქვამია: „გენერალი კრონიე პატარა ტანის კაცია და რაოდენადმე ნაზის აგებულებისა. იმას მეტად სასიამოვნო პირისახის გამომეტყველება აქვს, მაგრამ ეს როდია მხედრისა და კაცის მკვლელის გამომეტყველება. კრონიეს სახე ამტკიცებს, რომ ის გულკეთილი უნდა იყოს და მეტად უნდა სძაგდეს ძალ-მომრეობა. ის იმდენად არის აღსავსე სიკეთითა და სიმშვიდით, რომ მე გავბედავ შევადარო ის ქრისტეს სახეს, როგორც მას ჰხატვენ ზოგიერთი მხატვრები. საზოგადოთ, როცა მას უყურებთ, შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ იმას მშვიდობიანად უნდა ცხოვრება ყველასთან. კრონიე ცნობილია, როგორც მაგარი ხასიათის კაცი. შიში იმისათვის უცნობია, იგი ბუნებას დაუჯილდოვებია იუმორით. კრონიე სამაგალითო მომრავა კაცია. ბრძოლის დროს, ადამიანს ეგონება, სტეგვასო; ერთს ადგილას გაჩერება არ შეუძლიან. ამასთანავე მას არ აკლია ოსტატობა, მაგრამ იმავე დროს სამაგალითო კეთილი გულის კაცია და ოჯახის პატივის მცემელი. ის რომ ინგლისში ნახონ, საკვირაო სკოლის მასწავლებელი ეგონებათ, და არა ისეთი კაცი, რომელმაც ზედ-მიწევნით იცის სამხედრო წეს-რიგი. პრეტორიაში იმას ადარებენ ცეცხლის ნათელას, რადგან ის საოცარის სისწრაფით გადადის ერთი ადგილიდგან მეორე ადგილას“.

„ნოვოე ვრემიას“ კორესპონდენტი იწერება ლონდონიდგან: „ყველა ინგლისელი ჰგრძნობს, რომ რობერტსი თუ გამარჯვებულია, კრონიე გმირია ამ ჟამად. იმას ჰყვანდა მხოლოდ ოთხი ათას კაცამდე და ექვსი ზარბაზანი ჰქონდა, ხოლო რობერტს 50 ათას კაცამდე და 90 ზარბაზანი. მაგრამ ამ მცირე ჯარით ისე გამაგრდა რაისხევში, სადაც დაუბრკოლებლად ესროდნენ ყუმბარებს ინგლისელები მთელის ათის დღის განმავლობაში, რომ კვრაფერი დააკლო მტერმაო“.

## შემოწირულება

ახალქალაქის მაზრაში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ქ. ახალციხეში მღ. გვარამაძის შეუკრებია 11 მან. 44. კაპ.

შემომწირველთა სია: მღ. ლაზარე გოზალაშვილი 2 მ., მარიამ ფირალაშვილისა 1 მ., მაბი ხითაროვი 50 კ., ალექსანდრე პოლოლიკოვი 20 კ., ვანო ხუბოვი 20 კ., მიხეილ გურგენბეგოვი 50 კ., იოსებ ბალიევი 20 კ., რაფაელ საპკოვი 50 კ., პეტრე ტატალოვი 25 კ., სიმონ იგითხანოვი 25 კ., გრიგოლ ბალიევი 20 კ., გრიგოლ თამაროვი 50 კ., სტეპან ხარისჩაროვი 30 კ., იაკობ ფირალოვი 40 კ., ბესარიონ გასპაროვი 50 კ., კოსტა საპკოვი 25 კ., გიგო გიორგიძე 20 კ. პეტრე ტატალოვი 20 კ. სანდრე ბალიევი 20 კ. კეკელა არლელოვი 15 კ., წვრილად დედათაგან, 1 მ. 54 კ., სულ თერთმეტი მანეთი და ოთხი კაპეიკი, 15 კაპ. ფულის გაგზავნას დასჭირდა, დარჩა 10 მან. 88 კ. აქამდის რედაქციას მიღებული ჰქონდა 561 მან. 77 კ. ამითი 572 მან. 66 კაპ. შესდგა.

## წერილი რედაქციის მიმართ

უღრმესს მადლობას ვუცხადებ ანნა ბეგლარის ასულს ლორთქიფანიძისას, რომელმაც მიიღო შრომა და ქ. ქუთაისში ჩემ მიერ დაარსებულ საქალებო საპროფესიონალო სკოლის სასარგებლოდ შეკრიბა ხელის მოწერით სამასი მანეთი, რითაც შეძლება მომცა კვლავ გამეგრძო ეს სასარგებლო საქმე. აგრეთვე ქნ. ელისაბედ გიორგის ასულს წერეთლისას, ქნ. ელეონორა მიხეილის ასულს გურიელისას, ქნ. მარიამ ონისიმეს ასულს, ერისთავისას, თავ. ნიკოლოზ ყარამანისძეს თავდგირიძეს და სხვათა, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ამ ხელის მოწერაში, და თავადთ აასონ დავითის ძეს და ივანე ლევანის ძეს ცეცხლაძეებს, რომელთაც ამავე საქმისთვის გამოიგზავნეს თავიანთი წვლილი.

ქუთაისის საქალებო საპროფესიონალო სკოლის გამგე ევგენია ალექსანდრეს ასული კორძაიასი

## დეპეშა

21 თებერვალი

**კოლსბერგი.** ინგლისის რაზმმა ორის ზარბაზნით რეკოგნოსციროვკა მოახდინა მდინარე ორანჟეს ხიდისაკენ და აღმოაჩინა, რომ ეს ხიდი უვნებელია. მდინარის მეორე ნაპირზედ თვალი მოჰკრეს 50 ბურს, რომელთაც უკან დაიწიეს, როდესაც ინგლისელებმა ყუმბარები დაუშინეს. ინგლისის ბანაკი გუშინ ბალერში გადაიტანეს, კოლსბერგიდგან ჩრდილოეთით შვიდის მილის მანძილზედ.

**ნიუ-იორკი.** გაზ. „New-Iork. Nerald“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება: ორსავე მეომარ მხარეს გააგებინეს, რომ მაკ-კინლეი მზად არის ყოველს წუთს იკისროს შუამდგომლობა, თუკი ამისთვის მიიწოდებენ გარეშე საქმეთა სამინისტროს არავითარი საბუთი არა აქვს იფიქროს, რომ ინგლისი შუამდგომლობას მოწადინებული იყოს, თუმცა ტრანსვაალს სურს ასეთი შუამდგომლობა. მაკ-კინლეიმ გუშინ ვაშინგტონში ნადიმზედ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც განაცხადა: „მალე კანონით ნება მოგვეცემა ოქროს ვალიუტა შემოვიღოთ. არც ერთს სახელმწიფოსთან მოკავშირედ არა ვართ, არც ერთან არა გვაქვს საქმე გამწვავებული და მეტოქობასაც არავის ვუწევთ; პირ-იქით ყველასთან კარგი და გულწრფელი განწყობილება გვაქვს. არავითარ ძალას არ შეუძლიან გააუქმოს ჩვენი ხელშეკრულობა ესპანიასთან და დაარღვიოს ვალდებულებანი, იმასთან დადებულიო“.

**ნოჟან-ლე როტრუ.** ამომრჩეველთ დეშანელს ნადიმი გაუმართეს მეორედ პალატის პრეზიდენტად რჩევისა და აკადემიაში შესვლის გამო. დეშანელმა სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვაში ნდობა გამოუცხადა სახელმწიფოს დაწესებულებათა სიმტკიცეს და შეაქო ჯარი, რომელსაც ყველა მოქალაქენი დაიცავენ, თუ ვინმემ შეურაცხყოფა მიაყენაო. „ჩვენ საუკეთესო არტილერია მოგვეპოვება, განაგრძო დეშანელმა, — და მტკიცე კავშირი გვაქვს.“ შემდეგ დეშანელმა უსურვა დიდი სიმტკიცე პოლიტიკას. ტრანსვაალის შესახებ სთქვა: „თუ შემწეობას არ უჩენენ სუსტებს, გაუფთხილებლობა და ბავშვობაა ძლიერთა გაბრაზება.“ დასასრულ დეშანელმა განაცხადა: „ნუ აუხვევთ მხარს იმ დიად ვალდებულებას, რომელსაც გვადებს ჩვენ ამ საუკუნის მეორე ნახევრის ომი (მოწონების ნიშნები). ვიაროთ წინ სწორე გზაზედ, მიზნად და საგნად მხოლოდ ესა გვრჩება“.

**ლონდონი.** როგორც დორდრეხტიდგან 20 თებერვალს მოსულ ცნობებიდგანა სჩანს, ინგლისელებს დაუჭერიათ ბურების პოზიციები. ამ უკანასკნელებს პოზიციების უკანვე დაბრუნება განუზრახავთ, მაგრამ დიდის ზარალით განდევნილ იქმენ. ინგლისელებს 6 კაცი მოუკლეს და 15 დაუჭრეს.

ნიუ-იორკი „New Iork Nerald“-ში დაბეჭდილია ტრანსვაალის ელჩის ლეიდსის დეპეშა, რომელშიაც იგი აცხადებს, რომ ბურები ზავის ჩამოგდებას არიან მოწადინებულნი, მაგრამ ამასთან დამოუკიდებლობას თხოულობენო.

**ბერლინი.** ლონდონელ გაზეთის „Daily Tel.“-ის მიერ ნაუწყებ ამბის შესახებ, ვითომ იმპერატორ ვილჰელმს დედოფალ ვიქტორიასთვის გამარჯვება მიელოცოს, აქ ცნობილია, რომ იმპერატორმა მხოლოდ მადლობა გადაუხადა დედოფალს იმ დეპეშისათვის, რომელშიაც იგი ამ გამორკვევის ამბავს ატყობინებდა.

**დორდრეხტი.** ბრაბანტის დივიზიამ დღეს იერიში მიიტანა იმ ბურებზედ, რომელთაც ლაბუშანგნეკთან ძლიერი პოზიცია უჭირავთ.

**ბლუნფონტენი.** მოკავშირეთა ჯარმა გადასწყვიტა გავიდეს რენსბურგის გარეშემო მდებარე ადგილებიდგან. ჯარი მშვიდობიანად გასცილდა იმ ადგილებს.

ოფიციალურად გამოქვეყნებულ იქმნა, რომ კრონიეს ჯარი, რომელიც 2000 თუ 3000 კაცისაგან შესდგება, დაემორჩილა 15 თებერვალს ინგლისელებს, სურსათისა და სასროლ მასალის უქონლობისა გამო. პრეზიდენტმა ნატალში აღტაცებულის მოწოდებით მიჰმართა ბურგერებს, რომელნიც ბიგგერბერგისაკენ მიდიან. პრეზიდენტი ხვალ პრეტორიაში დაბრუნდება.

**ლონდონი.** რობერტსი ოსფონტეინიდგან 20 თებერვალს დეპეშით იუწყება: „კლემენტსი გვატყობინებს, რომ ჩემს მოწინავე ჯარს ახტერტანგი უჭირავს, ასე რომ მატარებლების მიმოსვლა სადგურ ჟუბერთან დღეს დაიწყება. ნარვალსპონტში ჯერ კიდევ დიდი ჯარი სდგას ბურებისა. როგორც გატეკრი იუწყება, სტომბერგთან ბურების რიცხვი დღითიდღე მცირდება“,

მეფკინგიდგან ბადენპაუელი იუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყება 3 თებერვალს, რომ აქ მშვიდობიანობააო.

ოსფონტენში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

**კონსტანტინეპოლი.** სერბიამ თანხმობა განაცხადა ოსმალეთთან დადებულ დროებით სავაჭრო კონვენციის ვადა $3^1/_2$ თვით გაგრძელებული იქმნას. რუმინიამ კი ვადის განგრძობა ერთის წლით მოითხოვა; ამასთან მოითხოვა, რომ ზოგიერთ საქონელზედ ტარიფი გადიდებულ იქმნას.

**ლონდონი.** Times“-ს ოსფონტენიდგან დეპეშით ატყობინებენ (18 თებ.): „დანამდვილებით არ იციან, სად არის მტრის პოზიცია. მსწრაფლ მოსიარულე რაზმები ინგლისის ჯარის გარშემო ხან ერთ ადგილზედ გამოჩნდებიან ხოლმე, ხან მეორეზედ. ჩვენა ვფიქრობთ, რომ მტერთან შეტაკება ბრაგამკრაალთან მოგვიხდება, პარდებერგიდგან 30 მილის მანძილზედ აღმოსავლეთით, სადაც, როგორც ამბობენ, ჟუბერი თავს უყრის ყველა იმ ჯარებს, რომელნიც ლედი-სმიტთან იყო. იქვე მივა ორანჟეს ჯარი. შტეინი 15 თებერვალს ბურების ბანაკში იყო აბრაგამკრაალში და ბურგერების წინაშე სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც გაახსენა მათ მაიუბა და მიიწვია კრონიეს განსათავისუფლებად.

„Standard“-ს დეპეშით ატყობინებენ (19 თებ.) კაპშტატიდგან, რომ გრიკუალანდის მეამბოხეთ, რომელთაც პრიესკის ოლქის 600 ჰოლანდიელი შველოდა, დაიჭირეს კენგარდტი. კენგარდტი პრიესკიდგან დასავლეთით ასის მილის მანძილზეა. მეამბოხენი ეხლა დასავლეთ-აღმოსავლეთისკენ მიდიან ვანკლაკს-ფლეიზედ, სადაც მრავალი სურსათია შენახული.

„Times“-ი და სხვა გაზეთები ამბობენ, რომ დედოფალმა გადასწყიტა ბორდირგერში აღარ წავიდეს და ინგლისში დარჩეს.

„Standard“-ს ოსფანტენიდგან (18 თებერ.) დეპეშით ატყობინებენ: ჩვენი სადარაჯოები მხოლოდ ერთის მილის სიშორეზეა მტრისაგან, რომელთაც მდინარის სამხრეთით, ჩვენის ბანაკიდგან 10 მილის სიშორეზედ, გორაკები უჭირავთ. მტრის ჯარი 4000 კაცისაგან უნდა შესდგებოდეს. როგორც ამბობენ, ბურები თავიანთ პოზიციას ამაგრებენ. როდის 20 თებერვალს მოვიდა“.

**პეტერბურგი.** ერმიტაჟის დარბაზებში მათ უდიდებულესობათ სადილი ჰქონდათ გამართული, შემდეგ ბალი.

21 თებერვალს დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავრინა ოლღა ალექსანდრეს ასული გატჩინოდგან პეტერბურგში დაბრუნდნენ საცხოვრებლად.

უცხო ქვეყნელნი მეგობრის თვალით არ უყურებენ ინგლისს, სცდილობენ გაიგონ, ხომ არ შესუსტდა მშვიდობიანობის და კეთილ დღეობის დროს შეძენილი სიმამაცე და გამძლეობა ინგლისისაო. კემბელლ ბანნერმანმა მაიწონა მთავრობის პროექტი, მაგრამ ამასთან დაუმატა, რომ ოპოზიცია მთავრობის პოლიტიკისთვის არავითარ პასუხის გებას არ კისრულობსო. გილმა უკმაყოფილება განაცხადა იმის გამო, რომ ირლანდია მონაწილეობას იღებს იმ ხარჯში, რომელსაც ინგლისი ამისათვის ეწევა.

**ლონდონი.** „Times“ ს ლორენცო-მარკეზიდგან დეპეშით ატყობინებენ 20 თებერვალს: „აქ ათას გვარი ხმა დადის: ზოგი ამბობს, ბურებმა ზავისს შესახებ მოლაპარაკება დაიწყესო, ზოგი — გლენკოსა და ლენგსნეკთან ბურები წინააღმდეგობას გაუწევენ ინგლისელებსაო. ამავე დროს პრეტორიას გაამაგრებენო. მაშინვე, კრონიეს დამორჩილების შემდეგ, ორსავე რესპუბლიკის პრეზიდენტს და ჩრდილოეთ ნატალში მყოფ ჯარის უფროსებს თათბირი ჰქონდათ. კრიუგერმა დეპეშით მიჰმართა აფიცრებს და სთხოვა შემდეგშიაც მტკიცედ მაიქცნენ და ყველაფერში ღმერთს მიანდონ. წინანდელმა გამარჯვებებმა დაგვანახეს, რომ ღმერთი ჩვენსკენააო, მიუწერია კრიუგერს. ორანჟეს რესპუბლიკის ერთმა წარჩინებულმა მოხელემ განაცხადა, რომ თუ ორანჟეს ბურები დაამარცხებენ, იგინი ტრანსვაალში გადავლენ, შეუერთდებიან იქ ტრანსვაალელ მოძმეთ და უკანასკნელ ზომამდე განაგრძობენ ომსაო.

ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ერთის კვირის განმავლობაში, 17 თებერვლამდე, ბურებისა მოუკლავთ 31 კაცი და 130 დაუჭრიათ.

**რომი.** პალატა. ბოცარი და შვიდი სხვა რესპუბლიკელთა დასის დეპუტატი შეეკითხა ვისკონტი-ვენოსტას, განზრახვა ხომ არა გაქვთ სამშვიდობო ლაპარაკი ჩამოაგდოთ ინგლისელებსა და ბურებს შორისაო. ვისკონტიმ უპასუხა, რომ მესმის რა გრძნობითაც არიან ამოძრავებულ გამსჭვალულნი ისინი, რომელნიც შემომეკითხნენ, ხოლო მე იმ აზრისა ვარ, რომ მაგ მხრივ მეცადინეობის დაწყება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც საქმეთა ვითარება ხელს შეგვიწყობს და კარგის შედეგის მიღება მოსალოდნელი შეიქმნებაო. მინისტრი იმ აზრისაა, რომ აწინდელი ვითარება საქმეთა კეთილ საიმედო არ არის ასეთის ნაბიჯის გადასადგმელადაო. (მოწონების ხმა გაისმის).

22 თებერვალი.

**ლონდონი.** როგორც „Daily Chronicte“ იუწყება, უელსის პრინცი პარიჟის გამოფენის გახსნას არ დაესწრება.

ისპანიის იმპერატორმა დეპეშით მიულოცა დედოფალს ინგლისის ჯარის გამარჯვება სამხრეთ ამერიკაში.

როგორც ოფიციალურად იუწყებიან, უკანასკნელ ბრძოლის დროს ბულლერის ჯარიდგან მოკლულ იქმნა 93 კაცი, დაჭრილი 684, უკლოდ დაიკარგა 25 კაცი.

**კაპშტადტი.** ოფიციალურად გამოქვეყნებულ იქმნა მილლერის პროკლამაცია, რომელიც იუწყება, რომ მტრის პრიესკმა, კენგარდტსა, ფრისავსა და ბარკლივესტში შესევის გამო და აგრეთვე იმ მიზეზით, რომ ინგლისის ბევრმა ქვეშევრდომმა იარაღი აისხნა მთავრობის წინააღმდეგ, საჭიროა განდევნილ იქმნას მტერი და ამბოხებაც მოისპოს, ამიტომ დასახელებულ ოლქებში სამხედრო დროს წეს-რიგი უნდა იყოს შემოღებული.

**კონსტანტინეპოლი.** „სერვეტი“ იუწყება, რომ ედუ-ბადეე, საშუალო აფრიკაში მიწა-ადგილის მფლობელი, მაჰმადიანი, გაემგზავრა ოსმალეთის ჯართან შესაერთებლად, რომელიც მდინარით მოვიდა და აგრეთვე იმისთვის, რომ ავისი სამფლობელო ოსმალეთის უფროსობას დაუმორჩილოს. ედუბაჯის 60,000 ჯარის-კაცი ჰყავს და რამდენიმე ზარბაზანი აქვს.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ლაპარაკია აღძრული ხარჯთაღრიცხულის შესახებ. გიკს ბიჩმა განაცხადა, რომ თუმცა ამ ბოლოს დროს საქმეთა მიმდინარეობამ საწადმართოდ იბრუნა პირი, მაინც მთავრობამა საჭიროდ სთვლის მომავალ საფინანსო წლისათვის 38 მილ. გირ. სტერ. გადაიდოს ომის ხარჯის დასაფარავად და საგერ საშუალებითა მისაღებად. დეფიციტი მომავალ საფინანსო წელიწადს 18 მილ. გირვანქა დასის აღრიცხული. ხარჯი 151 მილ ნაანგარიშევი, რომელთაგან 60 მილ. ხარჯს ომთან აქვს კავშირი, ეს ხარჯი საკმარისი იქმნება, რომ ომი საკეთილო დასასრულამდე იქმნას მიყვანილიო. იმედი მაქვსო, სთქვა მინისტრმა, რომ ჩემი წინადადებანი შეწყნარებული იქმნებაო.

# განცხადებანი



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა

**музыкальное депо**
**М. МИРИМАНЯНА.**

Тифлисъ. Дворцовая ул.
(25—5.—25)

# ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1900 ГОДЪ

на ежемѣсячный литературно-историческій журналъ

## „Вѣстникъ Иностранной Литературы“

Вступая въ десятый годъ своего изданія, „**Вѣстникъ Иностранной Литературы**“ попрежнему будетъ неуклонно преслѣдовать поставленную при его основаніи главную задачу—давать **Общедоступное, разнообразное, литературно-художественное чтеніе**, знакомя въ хорошихъ переводахъ съ лучшими какъ новѣйшими такъ и классическими произведеніями **всѣхъ выдающихся иностранныхъ изящныхъ литературъ**. Вмѣстѣ съ тѣмъ въ отдѣльныхъ статьяхъ и въ болѣе краткихъ очеркахъ и замѣткахъ, въ „Заграничной хроникѣ“,—„**ВѢСТНИКЪ**“, внимательно слѣдя за иностранною жизнью во всѣхъ ея характерныхъ проявленіяхъ, будетъ сообщать **обо всемъ новомъ, выдающемся, интересномъ** въ заграничной **общественной жизни, наукѣ, литературѣ и искусствѣ**.

По сравненію съ первыми годами своего изданія „Вѣстникъ“ **Увеличился въ объемѣ** почти **вдвое** и въ 1898 и 1899 гг. давалъ своимъ читателямъ по **5,000 страницъ** убористаго шрифта.

Стремясь возможно добросовѣстнѣе выполнить принятыя на себя обязанности, „Вѣстникъ“ **еще болѣе расширитъ** свои рамки, чтобы **безъ промедленія** знакомить читателей со всѣми **выдающимися новинками**, принадлежащими перу талантливѣйшихъ представителей иностранныхъ литературъ—французской, нѣмецкой, англійской, американской, итальянской, испанской, шведской, датской и польской. Вмѣсто 5000 страницъ

годовой объемъ „вѣстника“ увеличится до 6,000 страницъ.

Въ первыхъ книгахъ „Вѣстника“ 1900 года появятся крупныя произведенія слѣдующихъ авторовъ:

1) **БАЛЬЗАКА**—„**Физіологія брака**, или размышленія въ духѣ эклектической философіи о счастіи и несчастіи въ супружеской жизни“ (это остроумнѣйшее произведеніе появится **На русскомъ языкѣ впервые**), 2 **Альфонса додэ**—посмертная повѣсть. 3) **Поля Бурже**—новый романъ „**Леа**“ 5) **Габріеля д'анкунціо**—новая драма „**Джіоконда**“, въ пер. М. М. Иванова. 6) **поля эрвье**, талантливѣйшаго изъ молодыхъ французскихъ писателей,—**лучшій романъ, съ предисловіемъ** знаменитаго датскаго критика **Георга Брандеса**. 7) Изъ новой серіи посмертныхъ воспоминаній **Виктора Гюго** будутъ помѣщены въ „Вѣстникѣ“ интереснѣйшія страницы. **Кромѣ того будутъ напечатаны**: 8) Новые разсказы **Марка Твэна и Бретъ-Гарта**; новые историческіе разсказы **Анатоля Франса**; новые разсказы молодаго французскаго писателя **Роберта де-флерса**, одна изъ работъ котораго премирована уже французскою академіею и который по характеру дарованія является, по мнѣнію заграничной критики, достойнымъ послѣдователемъ Гюи де-мопасана; **разсказы, премированные** газетою „Journal“ и журналомъ „Revue des Revues“, разсказы **Англійскихъ, Итальянскихъ, Нѣмецкихъ, Шведскихъ, Датскихъ, Польскихъ и Чешскихъ** беллетристовъ, 9) Недавно появившіяся **третья и четвертая части воспоминаній** („Les barias de l'amour“ и „Le marshe aux Femmes“) бывшаго начальника парижской сыскной полиціи **ГОРОНА** начнутся печатаніемъ съ январьской книги „Вѣстника“. **10**) Въ той же книгѣ появятся очерки изъ придворнаго быта временъ Людовика XIV, подъ заглавіемъ „**Отравительницы и Чародѣйки**“ (по новѣйшимъ изслѣдованіямъ).

Съ отдѣльною нумераціею страницъ будутъ напечатаны въ „Вѣстникѣ“ въ теченіе 1900 года ТРИ ИЛЛЮСТРИРОВАННЫХЪ ПРИЛОЖЕНІЯ:

1) всемірные юмористы и сатирики въ характеристикахъ и образцахъ,

2) **ЖЕНЩИНА** въ жизни великихъ и знаменитыхъ людей

и

3) ВСЕМІРНАЯ ПАРИЖСКАЯ ВЫСТАВКА въ иллюстраціяхъ и описаніяхъ.

Несмотря на новое и значительное увеличеніе объема „Вѣстника“,

**Подписная цѣна на 1900 годъ остается прежняя:**

безъ доставки и пересылки **4 РУБ. 50 КОП.** | съ доставкою и пересылкою **5 РУБ.**

**Подробное объявленіе высылается по требованіямъ безплатно.**

Гг. служащіе въ казенныхъ и частныхъ учрежденіяхъ пользуются разсрочкою за поручительствомъ гг. казначеевъ и лицъ, завѣдующихъ подпиской,

**Подписка принимается:** въ **С.-Петербургѣ**—въ Конторѣ Редакціи, Гостиный дворъ, Зеркальная линія, № 63, магазинъ Пантелеева (прот. Пажескаго Корп.), въ **Москвѣ**—въ Конторѣ Н. Н. Печковской, Петровскія линіи, **а гг. иногородные благоволятъ адресоваться** въ редакцію, СПБ., Верейская ул., д. № 16, собств.

Издатель **Г. Ф. Пантелеевъ**. Редакторъ **С. С. Трубачевъ**. 7—7)

**Открыта подписка на 1900 годъ, VII годъ азданія,**

на еженедѣльную газету

## „Кавказское Сельское Хозяйство“

**органъ Императорскаго Кавказскаго общества сельскаго хозяйства.** Газета выходитъ по четвергамъ, безъ **предварительной цензуры**,

ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:

1. Руководящія статьи по техническимъ и экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа. 2. Популярныя статьи (оригинальныя и переводныя) по полеводству, молочному хозяйству, садоводству, виноградарству и винодѣлью, шелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч. 3. Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о произведенныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ. 5. Обзоръ литературы, русской и иностранной, по вопросамъ, относящимся къ Кавказу. 6. Сельско-хозяйственныя статистическія и рыночныя свѣдѣнія о производствѣ и потребленіи сельско-хоз. продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифы. 7. Правительственныя распоряженія. 8. Протоколы. доклады и отчеты общества и его органовъ. 9. Критика и библіографія. 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельско-хозяйственный календарь. 12. Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюденія. 16. Объявленія.

ЗАДАЧА ГАЗЕТЫ заключается въ установленіи болѣе живой и тесной связи между обществомъ сельскаго хозяйства и хозяевами Кавказа, со цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельско-хозяйственныхъ вопрхсовъ Кавказа и во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыъ сельско-хозяйственныхъ знаній.

Въ отдѣлѣ „Вопросы и отвѣты“ газета при содѣйствіи специалистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или общество сельскаго хозяйства.

**Подписная цѣна** съ доставкой и пересылкой: на годъ—4 руб., полгода—2 руб., 1/4 года—1 руб. и 1 мѣсяцъ—40 к.

**Подписка принимается** въ Тифлисѣ, въ бюро Импер. Кавк. общ. сел. хоз., Барятинская ул., собственный домъ.

Отвѣтственный редакторъ **А. А. Калантаръ**. (3—2)

Дозволено цензурою, Тифлисъ 22 Февраля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე